რაისა ხაჩატურიანი - ასოცირებული პროფესორი
სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი
ელ-ფოსტა: khachaturyan51@mail.ru

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები: მიზეზები, საერთო ნიშნები და განსხვავებები

შესავალი. კაპიტალიზმის და შემდგომ საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ნაკლოვანებას ეკონომიკური განვითარების არასტაბილურობა და მისი ციკლური ხასიათი წარმოადგენს. მოცემული პერიოდული ფაქტორი ამ ეკონომიკური სისტემების საკვანძო ნიშან-თვისებაა, ვინაიდან ეკონომიკური ზრდა მწყობრი და თანაბარზომიერად შესრულებული ნახტომი კი არა, არამედ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში საზოგადოებრივი წარმოების მოძრაობაში რეგულარულად განმეორებადი რყევებია, რაც თავისთავად ეკონომიკური განვითარების ციკლურობაში აისახება.

ციკლს საფუძვლად უდევს საქმიანი აქტივობის, ფულის ან რომელიმე სხვა ფინანსური სუბსტანციის საკითხი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური პროცესის განვითარებას. განვითარება მიმდინარეობს მანამ, სანამ დაგროვილი პრობლემების და შეცდომების შედეგად არ წარმოიშობა კოლაფსი, რომლის შემდეგ ყველაფრის განულება ხდება და პროცესიც თავიდან იწყება.

მეცნიერებასა და ეკონომიკაში კრიზისების თემა არასოდეს წყვეტს აქტუალობას, უფრო მეტიც, წლიდან წლამდე ქვეყნები სულ უფრო მეტ მსგავს პრობლემას აწყდებიან. კრიზისები დიდ ზიანს აყენებენ ეროვნულ ეკონომიკებს, განსაკუთრებით მწვავედ კი ეს პრობლემა განვითარებად ქვეყნებზე აისახება. თითქმის ყველა გლობალურმა ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ქვეყნები კრიზისის დაწყებისთვის მზად არ არიან. მიუხედავად არსებული მრავალი თეორიისა და კონცეფციისა ეკონომიკური კრიზისების დაწყების მიზეზების შესახებ, კაცობრიობამ ჯერ კიდევ ვერ გამოიმუშავა ციკლების შერბილების მიდგომები, რომლებიც მწვავე კრიზისის თავიდან აცილებას შეუწყობდა ხელს. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისებმა აჩვენეს, რომ საჭიროა ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების მეთოდების და მიდგომების გადააზრება, ხოლო, რაც შეეხება ეკონომიკის პოსტკრიზისულ აღორძინებას, ის ასევე მოითხოვს

ახალი კონცეპტუალური მიმართულებების განსაზღვრას და ანტიკრიზისული რეგულაციების ძირითადი მიდგომების გადახედვას.

მოცემული სტატიის **მიზანია** მსოფლიო მასშტაბით ცნობილი ეკონომიკური კრიზისების ქრონოლოგიურ ჭრილში განხილვა და შესწავლა, დაწყებული მე-19 საუკუნიდან დღემდე. მიზნიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის მიზეზების განსაზღვრა;
- მათი საერთო და/ან განსხვავებული ნიშან-თვისებების გამოვლინება;
- კრიზისების ხანგრძლივობის და შედეგების შედარება-გაანალიზება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის თეორიული მეთოდები, როგორიცაა ლიტერატურის შესწავლის და ანალიზის მეთოდი, კლასიფიკაციის და განზოგადების მეთოდი, ანალიზის და სინთეზის მეთოდი, ასევე შედარებითი მეთოდი. გამოყენებულია მსოფლიო ბანკის ანგარიშის და ინტერნეტ-წყაროების მონაცემები.

ძირითადი ნაწილი. თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში ცნობილია მრავალი (20-ზე მეტი) მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც სხვადასხვა მიზეზებით იქნა წარმოშობილი - პოლიტიკური, სოციალური, საფინანსო, საბანკო და უკვე სამედიცინო.

ზოგადად ითვლება, რომ ეკონომიკური კრიზისები სათავეს იღებენ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. პირველი ასეთი კრიზისი მოხდა ინგლისში 1825 წელს. აღნიშნული და ყველა მომდევნო კრიზისი წარმოადგენდა ე.წ. ჭარბწარმოების საერთო კრიზისს. მანამდე გავრცელებული იყო ეკონომიკური კრიზისის შედარებით განვითარებული ფორმა ნაწილობრივი კრიზისის სახით. ნაწილობრივმა ეკონომიკურმა კრიზისებმა თავი იჩინა კაპიტალისტური სასაქონლო წარმოების აღმოცენების პერიოდიდან. მაგალითად, ინგლისში ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა უკვე მე-16 საუკუნეში (ოლეხნოვიჩ, 2016: 31). თანდათან, განვითარების უკვე მანქანურ სტადიაზე, ნაწილობრივმა ეკონომიკურმა კრიზისებმა დაიწყეს გადასვლა საერთო ეკონომიკურში. ამრიგად, მათ დაკარგეს ლოკალური ხასიათი და მთლიანად მთელ სახალხო მეურნეობაზე დაიწყეს ზეგავლენის მოხდენა.

თავდაპირველად საერთო ეკონომიკური კრიზისები იყო ეროვნული ხასიათის და მიმდინარეობდა ცალკეული სახელმწიფოს ფარგლებში. მაგრამ, შრომის საერთაშორისო დანაწილების განვითარებასთან, ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური კავშირების ზრდასთან ერთად მათ ეროვნულიდან მსოფლიო კრიზისში ტრანსფორმაცია განიცადეს. შედეგად, სხვადასხვა სახელმწიფოში დამყარდა ეკონომიკური კრიზისების დადგომის ერთიანი ვადა.

ეროვნულსა და მსოფლიო კრიზისს შორის არსებობდა ე.წ. შუალედური ეტაპი საერთაშორისო კრიზისების სახით, რომელსაც საფუძვლად ედო ეროვნული კრიზისი ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ ვაჭრობის მექანიზმის მეშვეობით ის უარყოფითად აისახებოდა სხვა სახელმწიფოების ეკონომიკაზე. ასე მაგალითად, მე-19 საუკუნის შუა ხანებამდე ეკონომიკური კრიზისები უმეტესწილად ინგლისში წარმოიშობოდა. მაგრამ, მათი გავლენა მხოლოდ ინგლისის ტერიტორიით არ შემოიფარგლებოდა, ისინი ვრცელდებოდა იმ ქვეყნებზეც, რომლებთანაც ინგლისს აქტიური სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდა (ოლეხნოვიჩ, 2016: 32).

წარმოების ორგანიზაციის კაპიტალისტურ სისტემაზე გადასვლასა და მსოფლიო მასშტაბით წარმოების შემდგომ განზოგადებასთან ერთად, საერთაშორისო კრიზისები გარდაუვლად უნდა გადაზრდილიყო მსოფლიო კრიზისში. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ფილიპ ქეის მოსაზრების მოსმენა, რომელიც თვლის, რომ მსოფლიო ისტორიაში პირველი კრიზისი წარმოიშვა ჯერ კიდევ რომის იმპერიაში 88 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე. თუმცა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკის ციკლური განვითარების თვითგამოვლინების ათვლის წერტილად მიიჩნევა 1825 წელი, როდესაც ინგლისში ჭარბწარმოების პირველი კრიზისი გაჩაღდა. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური კონიუნქტურის პერიოდულ რყევებს, რომლებიც რეგულარულად მეორდებოდა მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში 8-10-წლიანი საშუალო შუალედით (დოტდუევა... 2014: 262-263).

ინგლისის 1825 წლის კრიზისი წარმოადგენდა ინდუსტრიული ეპოქის პირველ ეკონომიკურ კრიზისს, რომელშიც აშკარად ჩნდება შემდგომი კრიზისების ნიშნები. მან მოიცვა ეკონომიკის ყველა სფერო - წარმოება, ვაჭრობა, ფინანსები - ანუ ატარებდა ქვეყნისთვის ყოვლისმომცველ ხასიათს და აისახა ასევე სხვა ქვეყნების

ეკონომიკაზე, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაზე, რომელიც იმ დროს ინგლისის მთავარი პარტნიორი და მსესხებელი იყო. გარდა ამისა, კრიზისი ნაწილობრივ შეეხო აშშ-ს ეკონომიკას, მას ჰქონდა გარკვეული, უპირველეს ყოვლისა, სავაჭრო შედეგები სხვა ქვეყნებისთვის, მათ შორის გერმანიის, იტალიის სახელმწიფოების (ცნობილია, რომ 1861 წლამდე იტალიის ტერიტორიაზე ერთიანი სახელმწიფო არ არსებობდა, იყო რამდენიმე დამოუკიდებელი იტალიური სახელმწიფო), ჰოლანდიის და რუსეთისთვის. საფრანგეთში კრიზისი აღმოცენდა მოგვიანებით, 1826-1827 წლებში, და ატარებდა საკმაოდ გახანგრძლივებული რეცესიის ხასიათს (https://ratel.kz/outlook/pro_krizisy_lokalnye_i_globalnye).

კრიზისის მიზეზები საკმაოდ მარტივი იყო: საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა საინფორმაციო დეფიციტის პირობებში, ასევე არა იმდენად ობიექტურ მონაცემებზე, არამედ დაუსაბუთებულ ვარაუდებზე დაყრდნობით. რადგან იმ პერიოდში არ არსებობდა ეკონომიკური რეგულატორები და სრულყოფილი ფორმით ჩამოყალიბებული მარეგულირებელი კანონმდებლობა, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სპეკულაციური ბუმის შეჩერება შეუძლებელი იყო. თუმცა, ამასთან დაკავშირებით უნდა ავღნიშნოთ, რომ მომავალში რეგულატორების და მარეგულირებელი კანონმდებლობის გამოჩენის შემდეგაც კი, სპეკულაციურ ბუმთამ ბრძოლა ყოველთვის ეფექტიანი არ იყო.

მსოფლიო მასშტაბის პირველ ეკონომიკურ კრიზისად ითვლება 1857 წლის კრიზისი, რომელმაც ძლიერი დარტყმა მიაყენა იმ დროის წამყვან სამრეწველო და სავაჭრო ქვეყნებს - ინგლისს, გერმანიას, საფრანგეთს. მან მოიცვა არა მხოლოდ მთელი დასავლეთ ევროპა სკანდინავიის ჩათვლით, არამედ აშშ-ც. ირიბად კრიზისი შეეხო იმ დროინდელ რუსეთსაც, ეკონომიკის იმ ნაწილში, სადაც მას ევროპასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა.

კრიზისს წინ უძღოდა ეკონომიკის აღმავლობის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც დაკავშირებული იყო სამრეწველო რევოლუციასთან - ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად მრეწველობის სწრაფ განვითარებასთან. იმ დროს ბევრი ქვეყანა განიცდიდა ე.წ. Gründerboom-ს (გერ.Gründer - დამაარსებელი, დამფუძნებელი, Boom - ბუმი, აჟიოტაჟი). სიტყვა „გრიუნდერობა“ აღნიშნავდა ახალი ფირმების მასობრივ დაარსებას. უპირველეს ყოვლისა ეს იყო სააქციო საზოგადოებები, რომლებიც იქმნებოდა სხვადასხვა საქმიანი პროექტების

რეალიზაციისათვის და მსხვილი ინვესტორების სახსრების მოზიდვისათვის. მე-19 საუკუნის შუა პერიოდში ევროპული Gründerboom-ის ცენტრი საფრანგეთი იყო, სადაც კრიზისამდე ორი წლით ადრე 700-ზე მეტი სააქციო საზოგადოება შეიქმნა. იგივე, შედარებით მცირე მასშტაბებით ხორციელდებოდა გერმანიასა და აშშ-ში. რაც შეეხება ინგლისს, აქ სამრეწველო გადატრიალება უამრავი ახალი სააქციო საზოგადოების შექმნის ჩათვლით მოხდა ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნით ადრე, თუმცა ინგლისური კაპიტალის აქტიური მონაწილეობა ევროპის და ამერიკის საფონდო ბაზრების საქმიანობაში 1850-იან წლებშიც შეინიშნებოდა (https://fingram-history.oc3.ru/contents/krizis--goda).

კრიზისი მჭიდროდ უკავშირდებოდა ეკონომიკური ცხოვრების ახალ ტერმინს - კომერციულ კრედიტს, რომელმაც მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ფართო გავრცელება მოიპოვა. სავაჭრო გარიგებების დადებისას გამყიდველი აცხადებდა თანხმობას ნაღდი ფულის სანაცვლოდ მიეღო თამასუქი - ვალდებულების მქონე მყიდველის ხელწერილი განსაზღვრულ ვადაში დაეფარა საჭირო თანხა პროცენტებით. დროთა განმავლობაში ბაზარზე დაიწყო თამასუქების ფასდაკლებით (იმ შემთხვევაში, თუ მის მფლობელს აღარ სურდა ვადის გასვლამდე მისი შენახვა) ყიდვა-გაყიდვა. ჩამოფასებული თამასუქების ყიდვით ძირითადად ბანკები დაინტერესდნენ, მათ ხელში ჩაიგდეს თამასუქების ძირითადი ნაწილი და ფაქტობრივად გადაიქცნენ ვაჭრობის და მრეწველობის სფეროების კრედიტორებად, წარმოების განვითარების სტიმულატორებად.

მაგრამ ამ პროცესს ახლდა მეორე - საპირისპირო მხარეც: რეალური მოთხოვნა საქონელსა და აქციებზე ძლიერდებოდა სპეკულაციური მოთხოვნით, რომელსაც საბანკო კრედიტი უწყობდა ხელს. ასე მაგალითად, თუ ჩვეულებრივ პირობებში, საწარმოს შეეძლო თავისი პროდუქციის ახალი პარტიის დამზადებისთვის ნედლეულის ყიდვა საქონლის მზა პარტიის გაყიდვის შემდეგ - ეს ე.წ. რეალურ მოთხოვნას წარმოადგენდა. მაგრამ, საწარმოს ასევე შეეძლო კრედიტის აღება და ნედლეულის წინასწარ ყიდვა. ამ პროცესის პერმანენტულად განმეორების პირობებში, იქმნებოდა ე.წ. სპეკულაციური მოთხოვნა. დროთა განმავლობაში ხდებოდა ბაზრის გაჯერება საქონლით, საწარმო ვეღარ ახორციელებდა მზა პროდუქციის გაყიდვას მოთხოვნის არარსებობის გამო, შესაბამისად, ვერ ფარავდა კრედიტს. ეს, თავის მხრივ, აფერხებდა ბანკის საქმიანობას. პროცესის სხვა

ეკონომიკურ აგენტებზე დომინოს პრინციპით გავრცელებით ეკონომიკაში იქმნებოდა დეფოლტი. კრიზისის პირველი მსგავსი სიმპტომები შეინიშნა 1856 წლის შემოდგომაზე ფულად-საკრედიტო სფეროში: მკვეთრად დაეცა აქციების კურსი, შემცირდა საბანკო რეზერვები, შეჩერდა ბანკნოტების გადაცვლა ოქროზე. შესაბამისად, შეიქმნა ფინანსური კრიზისი. ხოლო 1857 წლის გაზაფხულზე შეიქმნა სიძნელეები პროდუქციის გაყიდვასთან დაკავშირებით, რაც ნიშნავდა უკვე არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ ეკონომიკურ კრიზისსაც. კრიზისმა პიკს მიაღწია 1857 წლის შემოდგომაზე, დაიწყო საბირჟო პანიკა, გამწვავდა არგადახდების ჯაჭვი და ბანკებთან ერთად ბევრმა სამრეწველო, სავაჭრო და სარკინიგზო კომპანიამ ბანკროტი გამოაცხადა.

მსჯელობას სხვადასხვა ეკონომიკურ კრიზისებზე და მათ გამომწვევ მიზეზებზე ვაგრძელებთ ეკონომიკურ ისტორიაში ყველაზე ცნობილი და მასშტაბური კრიზისის განხილვით, როგორიცაა 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. ამ კრიზისის თავისებურება იყო მისი სინქრონული ხასიათი, ის ერთდროულად შეეხო აშშ-ს და შემდეგ სხვა ქვეყნების ეკონომიკის ყველა სფეროს. კრიზისს უწოდეს „დეპრესია“, რადგან დაზარალებული ქვეყნების მოსახლეობა ნამდვილად ჩავარდა დეპრესიულ მდგომარეობაში და ეს შეეხო ყველა ფენას, თუმცა ეკონომიკური კუთხით ყველაზე ძლიერი დარტყმა მიიღეს საშუალო კლასმა და ღარიბებმა. ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა „დიდი დეპრესიის“ მიზეზების შესახებ, მაგრამ ყველაზე მეტად გავრცელებულია ისეთი მთავარი მიზეზები, როგორიცაა წარმოების ზემონოპოლიზაცია, მისი რეგულირების არარსებობა, დისპროპორცია წარმოების მოცულობების ზრდას და მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის შემოსავლების დონეს შორის, ფინანსური სპეკულაციები. „დიდი დეპრესია“ დაიწყო 1929 წლის ოქტომბრიდან აშშ-ში საბირჟო კოლაფსით და აშშ-ს გარდა ყველაზე მტკივნეულად შეეხო ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი. ბაზრის სტიქიურმა განვითარებამ და მისი საქონლით გაჯერებამ გამოიწვია:

- დისბალანსი სამომხმარებლო მოთხოვნას და საწარმოებში არსებულ ნარჩენებს შორის;
- პროდუქციის გამოშვების მოცულობების შემცირება;

- ცვლილებები საფასო პოლიტიკაში;
- უმუშევრობა, სიღარიბე;
- მსხვილი საწარმოების, ბანკების და ფიზიკური პირების გაკოტრება.

„დიდი დეპრესიის“ მასშტაბები და ხანგრძლივობა ისეთი აღმოჩნდა, რომ მოქმედმა თვითრეგულირების მექანიზმებმა დაკარგეს არსებული წონასწორობის აღდგენის უნარი. კრიზისით გამოწვეული ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები აისახა ასევე მეცნიერების სფეროზე. მანამდე არსებული ეკონომისტი-კლასიკოსების ცნობილი წარმოდგენები „უხილავი ხელის“ მოქმედების უნართან დაკავშირებით წინააღმდეგობაში მოვიდა „დიდ დეპრესიასთან“. ამრიგად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალ ეტაპს დაედო სათავე. საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრის მიერ მალე ნაპოვნი იქნა პრობლემის გადაწყვეტის გზა ჯონ მეინარდ კეინზის შრომების მეშვეობით, რომლის ანტიკრიზისული ღონისძიებების კომპლექსი გათვალისწინებულ იქნა ამერიკის და სხვა ქვეყნების კრიზისიდან გამოსვლის პროგრამებში (ხაჩატურიანი, 2009: 51-52).

მე-20 საუკუნის ცნობილ კრიზისებს მიეკუთვნება ასევე პირველი ომისშემდგომი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც 1957 წელს დაიწყო და 1958 წლის შუა პერიოდამდე გრძელდებოდა. კრიზისი ძირითადად გავრცელდა ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებში, როგორიცაა აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები და ბელგია. აღნიშნული ქვეყნების სამრეწველო პროდუქციის წარმოება ოთხი პროცენტით შემცირდა, ხოლო უმუშევართა რიცხვი ათ მილიონს მიუახლოვდა (https://ria.ru/20080917/151357556.html). უმუშევრობა გამოწვეული იყო წარმოების დაცემით, რის შედეგადაც ნედლეულის ფასი შემცირდა, თუმცა შენარჩუნდა ფასები მზა პროდუქციაზე. ეკონომისტები მიიჩნევენ, რომ ეს კრიზისი გახდა ერთგვარი წინაპირობა 1974-1975 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, როდესაც დაეცა სამრეწველო წარმოება, გაიზარდა უმუშევრობა, შემცირდა რეალური შემოსავლები და მოხმარება. მოცემული კრიზისის თავისებურება იყო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების მკვეთრი ზრდა მიუხედავად დაბალი სამომხმარებლო მოთხოვნისა. კრიზისის მეორე ტალღა გაგრძელდა 1980-1982 წლებში და მოიცვა ევროპის ყველა ინდუსტრიული ქვეყანა, ჩრდილოეთ ამერიკა, იაპონია და სხვა. წარმოება რიგ ქვეყნებში შემცირდა 14%-ით,

ხოლო უმუშევრობის მაჩვენებელმა 17 მლნ. ადამიანს გადააჭარბა. (https://trojden.com/books/world-history/world-history-2018/18).

კაპიტალისტური სამყაროს მოქცევა ეკონომიკურ კრიზისში დაიწყო ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში, თავდაპირველად 1972 წელს აშშ-მა გააუქმეს დოლარის ოქროს შემცველობა, რამაც ვალუტების კურსების თავისუფალი ცურვა გამოიწვია. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს წინ უძღოდა, იყო 1973 წელს ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მიერ მონოპოლიური მდგომარეობით სარგებლობა - ნავთობის ფასების მნიშვნელოვანი გაძვირება, რამაც დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში წარმოების დანახარჯების მკვეთრი მატება გამოიწვია (ხაჩატურიანი, 2009: 35-36). კაპიტალისტური სამყარო აღმოჩნდა მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე - საჭირო გახდა ექსტენსიურიდან ინტენსიურ წარმოებაზე გადასვლა, რომელიც მოითხოვდა ახალ ტექნიკას და ტექნოლოგიებს, ახალ მიდგომებს და აღმოჩენებს. ამრიგად, იაფი ნავთობის ეპოქის დასრულების და მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამწვავების შედეგად მსოფლიო აღმოჩნდა მრავალი გამოწვევის წინაშე, როდესაც თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე შექმნა ახალი შესაძლებლობები, მოდერნიზაციის ვარიანტები. ასე დაიწყო მორიგი (მესამე) სამრეწველო-ტექნოლოგიური რევოლუცია - მასობრივი ინდუსტრიული წარმოების კრიზისის შედეგი, რომელმაც განაპირობა გადასვლა ჯერ პოსტინდუსტრიულ და შემდეგ ინფორმაციულ საზოგადოებაზე. მთავარი ქვეყანა კი, რომელმაც განახორციელა ეს ტექნოლოგიური გარღვევა, გახდა აშშ. 1970-იან წლებში დაწყებულმა ეკონომიკის დარგობრივმა გარდაქმნამ გამოიწვია საწარმოო დარგებიდან მუშა ხელის გადასვლა მომსახურების სფეროში. ასე, მაგალითად, 2000 წელს აშშ-ში, კანადასა და დიდ ბრიტანეთში მომსახურების სფეროში მოღვაწეობდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 75-78%, რაც პოსტინდუსტრიული საზოგადოების და ინფორმაციული ეკონომიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა (https://trojden.com/books/world-history/world-history-2018/18).

მე-20 საუკუნის კრიზისებთან, განსაკუთრებით კი „დიდ დეპრესიასთან" მასშტაბების მიხედვით შეპირისპირებული აღმოჩნდა 2008 წლის კრიზისი, როდესაც თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში პირველად დაფიქსირდა მშპ-ს უარყოფითი დინამიკა. განსაკუთრებული აქცენტი აშშ-ზე იქნა გადატანილი, სადაც

პირველად წარმოიშვა იპოთეკური ბაზრის კრიზისი (ნარმანია, 2009: http://geoeconomics.ge/?p=3847). ჩამოინგრა მსოფლიო ვაჭრობა, ეჭვქვეშ დადგა დოლარის მსყიდველობითუნარიანობა, არსებითად გაძვირდა ფასები ნავთობსა და ოქროზე. ამ პერიოდში აქტუალური გახდა შემოსავლების უთანაბრობის საკითხი, ასევე უმუშევრობის და სიღარიბის პრობლემები.

თანამედროვე ეკონომისტებმა და ექსპერტებმა კრიზისის წარმოშობა რიგ მნიშვნელოვან ფაქტორს დაუკავშირეს. ესენია:

- ეკონომიკური განვითარების საერთო ციკლურობა;
- მაღალი ფასები ნედლეულზე;
- საფონდო ბირჟების გადახურება; საკრედიტო ბაზრის გადახურება და მის შედეგად წარმოქმნილი იპოთეკური კრიზისი აშშ-ში;
- პრაქტიკაში ახალი, გამოუცდელი ფინანსური მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა საკრედიტო დეფოლტური სვოპები და სხვა (ნარმანია, 2009: http://geoeconomics.ge/?p=3847).

მსოფლიო ფინანსური კრიზისი აისახა ყველა ქვეყნის ეკონომიკაზე, შენელდა ეკონომიკური ზრდის ტემპები. მიუხედავად იმისა, რომ ფუფუნების საგნებზე მკვეთრად შემცირდა ფასები, მოთხოვნამ მათზე არ მოიმატა, ვინაიდან მდიდარი ადამიანების აქტივები მნიშვნელოვნად შემცირდა, ზოგიერთი მათგანი გაკოტრდა. რაც შეეხება მოსახლეობას, ის ამ პერიოდში გადავიდა მოხმარების დაზოგვის რეჟიმზე. კრიზისიდან გამოსვლის ერთ-ერთი გზა გახდა საერთაშორისო დეკლარაცია, რომელიც საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის გადახედვის, საბაზრო ურთიერთობების რეორგანიზაციის და სოციალური პოლიტიკის კორექტირების შესახებ რჩევებს მოიცავდა.

მაშასადამე, კრიზისები თან ახლავს კაცობრიობის მთელ ისტორიას. ჩვენ განვიხილეთ და გავაანალიზეთ კრიზისები, რომლებიც მსოფლიო ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების და განვითარების ორსაუკუნოვანი პერიოდის მანძილზე სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარეობდა. დავინახეთ, რომ ყველა დროის კრიზისს ახასიათებს წარმოების მკვეთრი დაცემა, ბაზარზე არაეალიზებული საქონლის დაგროვება, ფასების დაცემა, ურთიერთანგარიშთა სისტემის ნგრევა, საბანკო სისტემის მოშლა, საწარმოო და სავაჭრო ფირმების გაკოტრება, უმუშევრობის დონის მკვეთრი ზრდა.

რაც შეეხება განსხვავებებს, უნდა ავღნიშნოთ, რომ თავდაპირველად კრიზისების დროს ადგილი ჰქონდა პროდუქციის არასაკმარის წარმოებას, ხოლო მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ისინი გამოვლინდნენ როგორც სამრეწველო წარმოებასა და გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის წონასწორობის დარღვევა. გარდა ამისა, მე-20 საუკუნემდე ეკონომიკური კრიზისები შემოიფარგლებოდნენ ერთი, ორი ან სამი ქვეყნის საზღვრებით, ხოლო შემდგომ პერიოდში მიიღეს საერთაშორისო ხასიათი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ათწლეულებში მსოფლიო საზოგადოების მიერ შეიქმნა მსოფლიო კრიზისების პრევენციის მექანიზმები, როგორც მსოფლიო ეკონომიკური კატაკლიზმების ისტორია მოწმობს, შეუძლებელია მათი ზუსტად წინასწარმეტყველება და მითუმეტეს თავიდან აცილება. სწორედ ასეთი კრიზისის წინაშე აღმოჩნდა თანამედროვე მსოფლიო კორონავირუსის აღმოცენების და სწრაფი გავრცელების პირობებში.

კორონავირუსის პანდემია იქცა გლობალურ გამოწვევად როგორც ჯანდაცვის სფეროსთვის, ასევე ქვეყნების ეკონომიკებისთვის, ის მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს სამედიცინო პრობლემებით გამოწვეული ამგვარი გლობალური კრიზისი (ხაჩატურიანი, 2020: 518). 2020 წელს მთელი მსოფლიო საზოგადოება ერთდროულად აკეთებდა ყველაფერს კორონავირუსის გავრცელების შეჩერებისთვის, პანდემიასთან ბრძოლისას ეძებდა საშუალებებს სამედიცინო ხარჯების დასაფარავად და ამით გამოწვეული სოციალური დანახარჯების შევსებას. ქვეყნების მთავრობები იყენებდნენ ანტიკრიზისული ღონისძიებების მთელ სპექტრს, რათა შეემსუბუქებინათ პანდემიის ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. თუმცა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში ოპერატიულად შემოღებული ლოკდაუნები, მოგზაურობის და სხვადასხვა შეზღუდვები ავტომატურად იმგვარი მასშტაბის გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიზეზი გახდა, როგორიც უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ეკონომიკურ ისტორიას არ ახსოვდა. პანდემია ყველგან, მიუხედავად ქვეყნების განვითარების დონისა, აისახა მომხმარებლების ქცევაზე, მკვეთრად შემცირდა ერთობლივი მოთხოვნა. 2020 წელს ქვეყნების უმრავლესობაში - 90% - შეინიშნებოდა ეკონომიკური აქტივობის შემცირება (https://www.vsemirnyjbank.org › publication › wdr2022). შედარებისთვის, ეს უფრო მეტია, ვიდრე იმ ქვეყნების რიცხვი,

რომლებმაც განიცადეს ვარდნა ორი მსოფლიო ომის, ჩვენს მიერ ზემოთ განხილული დიდი დეპრესიის, მე-20 საუკუნის კრიზისების და 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს ერთად აღებული. პანდემიის პირველ - 2020 - წელს მსოფლიო ეკონომიკის ვარდნამ თითქმის 3% შეადგინა, მკვეთრად გაიზარდა მთლიანად მსოფლიოში სიღარიბის დონე. მსოფლიო ბანკის მონაცემების მიხედვით, პანდემიის ეკონომიკური შედეგები არის და იქნება უფრო მძიმე და ხანგრძლივი განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნებისთვის. კერძოდ, მსოფლიოში 2020 წლის შემდეგ მკვეთრად შემცირებული ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს აღდგენა 2021 წელს 2019 წელთან შედარებით განვითარებული ქვეყნების 40%-ში, შემოსავლების საშუალო დონის მქონე ქვეყნების 27%-ში, ხოლო შემოსავლების დაბალი დონის მქონე ქვეყნების 21%-ში შეინიშნებოდა (მსოფლიო ბანკის ანგარიში, 2022: 2-3).

ყველა სხვა დროის კრიზისისაგან განსხვავებით კოვიდ-19-ის პანდემიის მიერ პროვოცირებული უმსხვილესი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგები აისახა არა მხოლოდ ეკონომიკურ პარამეტრებზე, კომპანიების გაკოტრებაზე, დაწესებულებების და სკოლების დახურვაზე, სამუშაოს დაკარგვაზე და ა.შ., არამედ მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობაზე და სიცოცხლეზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2022 წლის პირველი სექტემბრის მონაცემებით მსოფლიოში დაავადებულთა რაოდენობამ 603 მლნ., ხოლო დაღუპულთა რაოდენობამ 6,49 მლნ. ადამიანზე მეტი შეადგინა (https://www.who.int/ru). გასაკვირი არ არის, რომ გაერომ თავისი ანგარიშის სახელწოდებაში გამოიყენა სიტყვები *„გახეთქილი“ სამყარო პანდემიის შემდეგ“* (https://unctad.org/system/files/official-document/osg2020d2_ru.pdf).

მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის კრიზისი ყველა ქვეყანას შეეხო, მისი ზეგავლენა არსებითად განსხვავდება. 2020 წელს წარმოების ყველაზე დიდი ვარდნა შეინიშნებოდა განვითარებულ ქვეყნებში, თუმცა უდიდესი ეკონომიკური და სოციალური ზიანი მიიღეს განვითარებადმა ქვეყნებმა, სადაც ისედაც უკვე არსებული არაფორმალური დასაქმების და სუსტი სოციალური დაცვის პირობებში ყველაზე მეტად დაზარალდა ეკონომიკის წამყვანი სექტორი - ტურიზმი.

პრაქტიკული თვალსაზრისით პანდემია იქცა გარდატეხის მომენტად, როდესაც შესაძლებელი გახდა მომავალ ათწლეულში საერთაშორისო წარმოების

კონფიგურაციის ძირფესვიანი ცვლილება. ასევე პანდემიამ გამოიწვია გლობალური საწარმოო სისტემების და საერთაშორისო სავაჭრო-საინვესტიციო კავშირების გარდაქმნა. მეცნიერული თვალსაზრისით კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც პანდემიის კრიზისმა ისევ წინ წამოწია, უკავშირდება სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკაში, პოლიტიკის იმ პარადიგმის ცვლილებას, რომელიც 1980-იანი წლებიდან დომინირებდა და სახელმწიფოს როლის შეზღუდვას გულისხმობდა. მსგავს სიტუაციას ადგილი ჰქონდა დიდი დეპრესიის პერიოდშიც, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ, და დღეს, ისევე როგორც თითქმის ერთი საუკუნის წინ, აქტუალური გახდა დიდი კეინზის მოსაზრებები სახელმწიფოს როლის შესახებ. პანდემიის კრიზისმა ყველა დანარჩენ მსოფლიო ეკონომიკურ და ფინანსურ კრიზისებზე მეტად აიძულა საზოგადოება ეჭვი შეეტანა საბაზრო ძალების თავისუფალი თამაშის ფართო სოციალურ უპირატესობებში. ამასთანავე აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებულ ქვეყნებში პანდემიის კრიზისის დროს სასწრაფოდ მიღებულმა რეაგირების ზომებმა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად იმუშავა. თუმცა, ეს უკვე სხვა პრობლემაა და სცილდება მოცემული კვლევის თემატიკას.

დასკვნა. ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ და გავაანალიზეთ მე-19, მე-20 და 21-ე საუკუნეების ცნობილი უმსხვილესი, მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური და ფინანსური კრიზისები, ჩამოვთვალეთ და განვსაზღვრეთ მათი გამომწვევი მიზეზები, ყურადღება მივაქციეთ სხვადასხვა დროის კრიზისის თავისებურებას, ხასიათს, ხანგრძლივობის პერიოდს. აქედან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ მე-20 საუკუნის კრიზისებს შორის დიდი სხვაობა არსებობს. ასე მაგალითად, პირველი ნახევარი გამოირჩევა საქონლის წარმოების და გადახდისუნარიანი მოთხოვნის შეუსაბამობით, ხოლო მეორეს ახასიათებს ურთიერთობათა ახალი ტიპი, ე.წ. სახელმწიფო-მონოპოლიური კაპიტალიზმი, რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც სახელმწიფო ფლობდა და აკონტროლებდა წარმოებების მთელ ჯგუფს, დომინირებდნენ სახელმწიფო აქციონერები, კერძო კომპანიები კი მათ იურიდიულ ბრძოლაში კონკურენციას ვერ უწევდნენ. რაც შეეხება მე-20 საუკუნის ბოლოს და 21-ე საუკუნის დასაწყისს, ამ დროს დიდი როლი ითამაშა კრედიტების მასიურმა გამოყენებამ, ენერგომატარებლების მარაგების შემცირებამ, ცხოვრების მაღალი

სამომხმარებლო სტილის შენარჩუნებამ და სავალუტო კურსების ცვალებადობამ. გარდა ამისა, ეკონომიკურ სფეროში კრიზისებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია კომპიუტერების და ინტერნეტის მასიურმა გამოყენებამ, რაც კერძო კომპანიების და ასევე ცალკეული ტრეიდერების მხრიდან საფონდო ბირჟებზე გაუმართლებლად მასშტაბური კაპიტალდაბანდებების მიზეზი გახდა. ამის საპირისპიროდ, აღნიშნული მოვლენის შედეგებმა, ანუ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზრდამ, დადებითი როლი ითამაშა პანდემიასთან ბრძოლაში. ციფრულმა ტექნოლოგიამ არა მხოლოდ გააერთიანა ადამიანები და მისცა მათ საშუალება ემუშავათ ისე, რომ შეეზღუდათ სამედიცინო და ეკონომიკური ზარალი, არამედ მისი დახმარებით მოხდა ინფექციის გავრცელების გაკონტროლება, სახელმწიფოს, საწარმოების და შინამეურნეობების მხრიდან რეაგირების და ადაპტაციის ზომების მიღება, ასევე დისტანციურად მუშაობა და სწავლება. ციფრული კავშირის მეშვეობით ადამიანებმა განახორციელეს ელექტრონული ვაჭრობა საცალო ვაჭრობის და მომსახურების სექტორებში. პანდემიის კრიზისმა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბევრი რამ შეცვალა და ამ ცვლილებების უმეტესობა დიდი ალბათობით კრიზისის შემდეგაც შენარჩუნდება. ამრიგად, პანდემია შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ როგორც კრიზისი, არამედ როგორც ფენომენი, რომელიც მოითხოვს ახალ ეკონომიკურ და ინტელექტუალურ საწყისებს. პანდემია იქცა ახალი იდეების და მიდგომების სტიმულად, გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები, ეკონომისტები და ზოგადად ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფი ადამიანები, არამედ სამედიცინო დარგის სპეციალისტები, მეცნიერები. პანდემიის დაწყებიდან ათი თვის თავზე გამოგონილ იქნა რამდენიმე სახეობის ვაქცინა, რომელიც ახალ პოსტკოვიდურ სამყაროში ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკის ქმედით ინსტრუმენტად იქცა.

ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამებით, ყველა დროის კრიზისთან მიმართებაში შეიძლება ვთქვათ შემდეგი: მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების შინაგანი და გარეგანი მიზეზები თანდათანობით ვითარდება, ისინი ნელ-ნელა გროვდება და დროთა განმავლობაში სახელმწიფო დეპრესიულ-რეცესიულ მდგომარეობაში ვარდება. ამიტომ, მსგავსი სიტუაციის პირველი ნიშნების

გამოვლინებისას მნიშვნელოვანია დროულად გადაიხედოს პოლიტიკური გადაწყვეტილებები და რეაგირება მოხდეს ცვალებად ეკონომიკაზე.

საბოლოო სახით კი შეიძლება ვთქვათ, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების განვითარება უკავშირდება:

- ლოკალური და/ან გლობალური ხასიათის რთული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობას;
- საფინანსო-ეკონომიკური მართვის არასაკმარის გამოცდილებას;
- ბაზრების გაჯერებას და არასრულყოფილ კონკურენციას;
- სარისკო გადაწყვეტილებებს ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიმართებაში;
- სტიქიურ მოვლენებს (ომები, კატასტროფები, პანდემიები).

ჩამოთვლილი კრიზისული მოვლენები იწვევენ მრავალ პრობლემას და აისახებიან ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის ციკლური განვითარების თავისებურებებიდან გამომდინარე სტაბილურობას ანაცვლებს დისბალანსი, რომელიც არსებული რესურსების უუნარო მართვის პირობებში გარდაიქმნება კრიზისში. სახელმწიფოების სწრაფვა მსოფლიო ბატონობისკენ, განსაკუთრებით თანამედროვე პერიოდში, იმდენად დიდია, რომ ისინი არასაკმარის ყურადღებას აქცევენ დაგროვილ პრობლემებს. ეს კი, თავის მხრივ, სამწუხაროდ წარმოშობს მორიგ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მსოფლიო ბანკის ანგარიში, (2022). https://openknowledge.worldbank.org/bitstream/handle/10986/36883/211730ovRU.pdf
2. ნარმანია, დ. (2009). *მსოფლიო ფინანსური კრიზისი და საქართველოს გამოწვევები,* http://geoeconomics.ge/?p=3847
3. ხაჩატურიანი, რ. (2009). *საერთო ეკონომიკური წონასწორობა გარდამავალ პერიოდში.* თბილისი, „ბასიანი“, 214 გვ.
4. ხაჩატურიანი, რ. (2020). პანდემიის ეკონომიკური შოკები და ანტიკრიზისული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი. კრებულში: *„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“,* თბილისი, თსუ, 568 გვ.
5. Дотдуева З.С., Ловянникова В.В. (2014). Теории кризисов: эволюция, причинно-видовые аспекты. ж.: „*Мир науки, культуры, образования“*, № 6(49), 626 გვ., http://amnko.ru/index.php/russian/journals/
6. Олехнович Е.А. (2016). Эволюция развития экономических кризисов. Сборник: „*Стратегические направления социально-экономического и финансового обеспечения развития национальной экономики“,* Минск, 234 გვ., https://elib.bsu.by/bitstream/123456789/186616/1/Олехнович Е.А
7. https://fingram-history.oc3.ru/contents/krizis--goda
8. https://ratel.kz/outlook/pro_krizisy_lokalnye_i_globalnye
9. https://ria.ru/20080917/151357556.html
10. https://www.who.int/ru
11. https://www.vsemirnyjbank.org › publication › wdr2022
12. https://unctad.org/system/files/official-document/osg2020d2_ru.pdf
13. https://trojden.com/books/world-history/world-history-2018/18

Raisa Khachaturian, Associated Professor

LEPL Samtskhe-Javakheti State University,

The Faculty of a Business Administration

e-mail: khachaturyan51@mail.ru

Global Economic Crisis: The Causes, Common Characteristics and Differences

An abstract. The article reads and studies 200-years practice of the history of Economics on the Global Economic Crisis, describing the reasons, similarities and differences, size, coverage area, duration and nature of the crises consistently. The crises being emerged during 20th and in the first half of the 21st centuries are highlighted, including

The Great Depression and the Crisis of Pandemics. Those crises changed the scientific and public paradigm of the politics despite the interval of 100 years between them, that there is the need for active intervention by the state in the economics. The positive role of three well-known crises including of 1929-1933, of 1970s and the pandemics of 2019, is analyzed and it proved that the crisis is the best way to find out the best opportunities.

The conclusion formulates the key phenomena of the crisis, which takes place based on the nature of cyclic development in the economics and highlights that the delayed responses from the governments on those phenomena due to different problems supports to deepening of the crisis.

Key words: Global economic crisis, financial crisis, the causes of crisis, duration and nature of the crisis, pandemics